საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ-ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ზ. [illegible]ნეიშვილის ქ. №25

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

წარმოგიდგენთ განსახილველად „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ კანონპროექტს ;

გთხოვთ დაიწყოს უმაღლესი საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული კანონპროექტის განხილვა და მოწონების შემდეგ განხორციელდეს საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარდგენა.

დანართი 6 ფურცელი

პატივისცემით,
ელგუჯა ბაგრატიონი
ფრაქციის თავმჯდომარე

№ 09-01-08/34
7-06 2017
7 ფურცელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება
სამართლებრივი აქტის პროექტის
განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 15

14 ივნისი 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ (№09-01-08/34, 7.06.2017,)

დასახელება

უმაღლესი საბჭოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი გია აბულაძე	*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო*
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

წამყვანი კომისია

7.06.2017 წელი	წამყვანი კომისია: 4.07.2017 სხვა კომისიები: 30.06.2017	საშემოდგომო სესია
შემოსვლის თარიღი	საკომისიო მოსმენის ვადა	სხდომაზე განხილვის თარიღი

კომისია რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. მოწონებული იქნას „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების თანდართული კანონპროექტი და საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარდგენილი იქნას განსახილველად საქართველოს პარლამენტში;

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

ჩაქვი

2017 წლის ------ მარტი

№ ----------

საქართველოს კანონი
„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. ,,პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში (მიღების თარიღი 04.10.2013წ, **N1444-Iს**) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 49-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს 2^1 პუნქტი:

   ,,2^1 . წელთა ნამსახურობის ვადის გასვლის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პენსიაზე გასულ პოლიციის თანამშრომელს და მისი ოჯახის წევრს/წევრებს(მეუღლე, არასრულწლოვანი და სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილი/შვილები), ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის გარდაცვალების, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევაში მისი ოჯახის წევრს/წევრებს(მეუღლე, არასრულწლოვანი და სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილი/შვილები) უნარჩუნდებათ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის განკუთვნილი ჯანმრთელობის დაზღვევის სტანდარტული პაკეტი;

2. 53-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,1. პოლიციელის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობაა 30 კალენდარული დღე. სავალდებულოა პოლიციელმა ისარგებლოს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით“.

3. 53-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,3. სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, დასაშვებია პოლიციელის შვებულების შეწყვეტა და სამსახურის გასაგრძელებლად მისი გამოძახება. გამოძახების შემთხვევაში შვებულების გადატანა შესაძლებელია არაუგვიანეს იმავე კალენდარული წლის დასრულებამდე, ხოლო თუ შვებულების შეწყვეტა მოხდა დეკემბრის თვეში ასეთ შემთხვევაში მომდევნო კალენდარული წლის 1 მარტამდე.

4. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *გიორგი მარგველაშვილი*

თბილისი,
2017 წლის
№

მოქმედი რედაქცია

მუხლი 49. პოლიციელის სოციალური დაცვა

1. პოლიციელის სოციალურ დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფო.

2. უზრუნველყოფილია პოლიციელის სავალდებულო ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სახელმწიფო დაზღვევა.

3. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში პოლიციელს 2 თვის განმავლობაში უნარჩუნდება ბოლო დაკავებული თანამდებობის ხელფასი (ფულადი სარგო).

4. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანი პოლიციელს სრულად აუნაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. პოლიციელის საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. პოლიციელისა და მისი ოჯახის წევრის (წევრების) სამედიცინო მომსახურების პირობებსა და წესს განსაზღვრავს მინისტრი.

61. სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა, მათი ოჯახის წევრთა, სამინისტროდან და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან დათხოვნილ პირთა (სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები პირები) და სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო დაწესებულების/დანაყოფის მსმენელთა სამედიცინო უზრუნველყოფას, აგრეთვე სამსახურის გავლის პერიოდში (მათ შორის, სამსახურში მიღების ან სამსახურიდან დათხოვნის დროს) ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას ახორციელებს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური.

7. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ფარგლებში პოლიციელისთვის მინისტრის ბრძანებით შეიძლება განისაზღვროს ერთჯერადი დახმარების, სხვა სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებები და შეღავათები.

8. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პოლიციელს შესაძლებელია საცხოვრებლად სარგებლობაში გადაეცეს სამინისტროს ბალანსზე რიცხული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბინა, სახლი, დამხმარე ნაგებობები და მათზე მიმაგრებული მიწის ფართობი.

მუხლი 53. პოლიციელის შვებულება

1. პოლიციელის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობაა 30 კალენდარული დღე.

2. სამინისტროში მუშაობის 5 წელზე მეტი სტაჟის მქონე პოლიციელის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობაა 35 კალენდარული დღე, ხოლო 10 წელზე მეტი სტაჟის მქონე პოლიციელისა – 40 კალენდარული დღე.

3. სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, დასაშვებია პოლიციელის შვებულების შეწყვეტა და სამსახურის გასაგრძელებლად მისი გამოძახება.

განმარტებითი ბარათი

,,პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კანონპროექტზე

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა.) კანონპროექტის მიღების მიზეზები

დღეს მოქმედი, ,,პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს მოქმედი პოლიციის თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევას.

პოლიციელებისათვის დამატებითი სოციალური გარანტიების შექმნის მიზნით მნიშვნელოვანია პოლიციელები და მათი ოჯახის წევრები უზრუნველყოფილი იქნან დაზღვევის სპეციალური პაკეტით: სამსახურიდან წელთა ნამსახურობის ვადის გასვლის, ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დათხოვნის შემთხვევაში პენსიაში გასული თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის გარდაცვალების, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევაში მისი ოჯახის წევრები, ისინი საჭროებენ სახელმწიფოსაგან ყურადღებას და სოციალურ მხარდაჭერას.

დაძაბული და არანორმირებული სამუშაო რეჟიმის გამო აუცილებელია პოლიციელმა ისარგებლოს მისთვის განკუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით. ხშირია შემთხვევები როცა ,,პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ხდება პოლიციელის შვებულების შეწყვეტა და სამსახურის გასაგრძელებლად მისი გამოძახება. რეალურად პოლიციელები ხშირ შემთხვევაში ვერ სარგებლობენ კუთვნილი შვებულებით, რაც ცუდად აისახება მათ ჯანმრთელობასა და პროფესიულ საქმიანობაზე. ამიტომ აუცილებელია კანონით გათვალისწინებული იქნას შვებულებით სავალდებულო სარგებლობის გარანტიები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, შეტანილი იქნას პოლიციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებები და დამატებები რაც დამატებით სოციალურ გარანტიებს შეუქმნის პოლიციელებს, გააუმჯობესებს მათი შრომის უფლებების დაცვას და პროფესიულ საქმიანობას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია შეიქმნას დამატებითი სოციალური გარანტიები პოლიციელებისათვის, რაც აამაღლებს მათ მოტივაციას, გააუმჯობესდეს მათი შრომის უფლებების დაცვა და პროფესიულ საქმიანობა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტების თანახმად ცვლილება და დამატება შედის ,,პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის შესაბამისადაც წელთა ნამსახურობის ვადის გასვლის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი

წესით პენსიაზე გასულ პოლიციის თანამშრომელს და მისი ოჯახის წევრს/წევრებს ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის გარდაცვალების, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევაში მისი ოჯახის წევრს/წევრებს შეექმნათ სოციალური გარანტიები და მათ შეუნარჩუნდეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის განკუთვნილი ჯანმრთელობის დაზღვევის სტანდარტული პაკეტი.

მნიშვნელოვანია, რომ მოქმედ პოლიციელს შეექმნას შვებულების სარგებლობის გარანტიები სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე პოლიციელის შვებულების შეწყვეტისა და სამსახურის გასაგრძელებლად მისი გამოძახების შემთხვევაში შვებულების გადატანა შესაძლებელია გადატანილი იქნას არაუგვიანეს იმავე კალენდარული წლის დასრულებამდე, ხოლო თუ შვებულების შეწყვეტა მოხდა დეკემბრის თვეში ასეთ შემთხვევაში მომდევნო კალენდარული წლის 1 მარტამდე".

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

- კანონპროექტის 2^1 პუნქტის ამოქმედების შემთხვევაში საჭროა ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას შესაბამისი თანხები, რის დაფინანსებაც შესაძლებელია ბიუროკრატიის ხარჯების შემცირებით.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

- კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

- კანონპროექტის მიღება გაზრდის შ.ს.ს-ს ხარჯებს. მიზანშეწონილია შემცირდეს ბიუროკრატიის ხარჯები და კანონპროექტით გათვალისწინებული ბენეფიციარების - შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის განკუთვნილი ჯანმრთელობის დაზღვევის სტანდარტული პაკეტის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად გაიზარდოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

- კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

- კანონპროექტის მიღება იქონიებს დადაებით გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება, კერძოდ კანონპროექტით გათვალწინებულ ბენეფიციარებს დააზღვევს სახელმწიფო შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის განკუთვნილი ჯანმრთელობის დაზღვევის სტანდარტული პაკეტით, ასევე მოქმედ პოლიციელებს შეექმნებათ შვებულების სარგებლობის გარანტიები.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

- კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

- კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

- კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ განხილული და მოწონებული იქნა კანონპროექტი.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

- კანონპროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი გია აბულაძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

12/06/2017
N 1579

1579-09-02-11-3-201706121629

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის
საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტთან - ,,პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ“ და მისგან გამომდინარე საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

(რეგ N 09-01-08/34. 07.06.2017წ)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის მიერ განხილული იქნა ,,პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი და მისგან გამომდინარე საქართველოს კანონის პროექტი.

წარმოდგენილი პროექტი არ შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ განმარტებითი ბარათი ეწინააღმდეგება ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს. ამასთან, დადგენილების პროექტში არ არის მითითებული საქართველოს პარლამენტში კანონპროექტის განხილვისთვის მომხსენებელი, რაც რეგლამენტის 107-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევაა.

მაია ხაჯიშვილი

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი